

ეროვნული ბანკი ორი უპილურესობის შინაგანი: საბანკო პრიზისი თუ მაღალი ინფლაციის საფრთხე?

გაზეთი “ალია” – 7-8 ოქტომბერი, № 123, 2008

მსოფლიოში ფასები ისტორიული საზომებით მაღალ დონეზე შენარჩუნდება, რიგ ქვეყნებში ინფლაციის რისკები ჯერ კიდევ მოქმედებს. ამის შესახებ საუბარია საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში “მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივები”.

ამასთანავე, სსფ მიიჩნევს, რომ სიტუაცია სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთისგან განსხვავდება.

“რიგ განვითარებად ქვეყნებში, ასევე ქვეყნებში, სადაც გრძელდება ბაზრის ფორმირება, ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებას აქვს დიდი მნიშვნელობა ინფლაციური ზეწოლის შესამსუბუქებლათ, განსაკუთრებით სადაც ინფლაცია უკვე მაღალია სხვა მიზეზთა გამო”, - ნათქვამია ანგარიშში.

მაღალი ინფლაცია რიგ ქვეყნებში, ამ ანგარიშის მიხედვით, ეკონომიკის გადახურებას ან ეკონომიკური პოლიტიკისადმი დაბალ ნდობას უკავშირდება.

სსფ-ს ინფორმაციით, მსოფლიო ეკონომიკაში ფასების ყველაზე გრძელვადიანი ზრდა ფიქსირდება 1970-იანი წლების დასაწყისიდან. “იმის მიუხედავად, რომ საბირჟო საქონელზე ბოლო პერიოდში ფასების შემცირება დაფიქსირდა, ბუმის ძირითადი ფაქტორების მოქმედება გრძელდება”, – აღნიშნულია “მსოფლიო ეკონომიკის განვითარების პერსპექტივებში”.

“ალიას” ესაუბრა ეკონომიკური ექსპერტი ლადო პაპავა:

– ყველასთვის ცნობილია, რომ მსოფლიოში მიმდინარეობს ფინანსური კრიზისი. სწორედ ამ პრობლემების გადასაწყვეტად იქნა მიღებული გადაწყვეტილება, რომლითაც ამერიკის მთავრობა თავის საფინანსო ბაზრებს დაეხმარება 700 მილიარდი აშშ დოლარით. ამან გამოიწვია დაშოშმინება,

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ფინანსური კრიზისი სწრაფად და მყისიერად გადაწყდება. ფინანსური კრიზისის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამომჟღავნება სწორედ მაღალი ინფლაციაა. ეს მთელი მსოფლიოსთვისაა დამახასიათებელი, მაგრამ, გარდა ზოგადი კანონზომიერებებისა, საქართველოსთან მიმართებაში უნდა შევხედოთ, თუ რა პრობლემებია ქვეყნის შიგნით. უპირველეს ყოვლისა, ინფლაციას რამდენიმე გამომწვევი მიზეზი აქვს. ამის შესახებ ჩვენ რამდენჯერმე გვისაუბრია. ერთ-ერთი ფაქტორია “იმპორტირებული ინფლაცია”, ანუ გარე ფაქტორები. მაგალითად, ნავთობის ფასის ზრდა. თუმცა, ბოლო დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ნავთობის ფასი ისევე სწრაფი ტემპით იკლებს, როგორითაც მატულობდა, მაგრამ ეს ჩვენს რეალურ სინამდვილეზე არ აისახა. რაც შეეხება ქვეყნის შიდა პრობლემებს, აქ მთავარია მთავრობის ხარჯვითი პოლიტიკა. ჩვენ გვისაუბრია იმაზეც, რომ მთავრობა ხარჯვით პოლიტიკას აწარმოებდა არასწორად. ეს ასე იყო ომამდე. ომმა გარკვეული უარყოფითი ზეგავლენა, რა თქმა უნდა, იქონია, მაგრამ ინფლაციის ტენდენციები მანმადე ჩამოყალიბდა. კიდევ ერთიც – მთავრობა, როგორც წესი, სულ ცოტა ერთი მესამედით ამცირებს გამოქვეყნებული წლიური ინფლაციის მაჩვენებელს. ანუ, თუ ჩვენ გვეუბნებიან, რომ საშუალო წლიური მაჩვენებელი იქნება 11%, ეს რეალურად იქნება არა ნაკლებ 16%-ისა. მაგრამ, უნდა ვთქვათ ისიც, რომ დღევანდელი მდგომარეობით ინფლაცია 20%-ზე ნაკლები რომ არ არის, მგონი, ამაში ეჭვი არავის ეპარება. ახლა მოდის ზამთარი, მთავრობა იძულებული იქნება, აამოქმედოს ვაუჩერები, რაც გამოიწვევს ინფლაციის ზრდას, რადგან ეს არის ბაზრისთვის ირიბად ჭარბი ფულის მიწოდება. ჩემი აზრით, თუ ინფლაციის წლიური მაჩვენებელი არ იქნება 30%-ზე მეტი, მაშინ გადავრჩებით.

– რამდენად სწორ პოლიტიკას ატარებს მთავრობა და ეროვნული ბანკი ინფლაციის პრობლემის მოსაგვარებლად?

– მკაცრი ფულადსაკრედიტო პოლიტიკა არის ეროვნული ბანკის გასატარებელი, მაგრამ ეროვნული ბანკი ამ პრობლემის გადაწყვეტაში უსუსური იქნება, თუ მას მკაცრი ხარჯვითი პოლიტიკით არ დაუდგა გვერდით მთავრობა. ჩემი აზრით, მათი მოქმედებები არ არის სინქრონიზებული. ეროვნული ბანკი იყენებს ყველა ინსტრუმენტს, რაც მის შესაძლებლობაშია,

მაგრამ იმავდროულად პრობლემები მოდის მთავრობიდან. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ერთი რამ. ომის პირობებში განსაკუთრებით გამწვავდა პრობლემა საბანკო სექტორში. იმ მიზნით, რომ საბანკო სისტემა გადარჩეს, ეროვნულმა ბანკმა გადადგა რამდენიმე სწორი ნაბიჯი. კომერციულ ბანკებს მიეცათ დამატებითი საკრედიტო რესურსი და მათ მიმართ სარეზერვო მოთხოვნა შემცირდა. ამით ეროვნული ბანკი ეხმარება კომერციულ ბანკებს, რათა არ გაკოტრდნენ, მაგრამ იმავდროულად ეს არ არის მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კომპონენტი. ეს ხელს უწყობს ინფლაციას. ანუ, დღეს ეროვნული ბანკი დგას ორი უკიდურესობის წინაშე: გაატარებს მკაცრ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, დაიწყება საბანკო კრიზისი, თუ დაეხმარება ბანკებს, მაშინ მაღალი ინფლაციის საფრთხე დგება.

დიმიტრი ტიკარაძე